

გამოცდები 2014



ელს გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე განახორციელა.

უცხოური ენის ტესტებს დაემატა მოსმენის დავალება, რამაც ტესტი უფრო მრავალფეროვანი გახადა, ასევე უცხო ენის გამოცდას დაემატა ახალი წერითი დავალება, სადაც აბიტურიენტებს უნდა დაეწერათ მცირე ზომის წერილი. ზოგადი უნარების გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაიზარდა 24 ქულამდე, ტესტის ზოგიერთ

ნაწილს მე-5 სავარაუდო პასუხები დაემატა, ამ ყველაფერმა საშუალება მისცა აბიტურიენტებს, რომ არა „ბრმად“ შემოსახვით, არამედ დაკვირვებით ემუშავათ ტესტის თითოეულ დავალებაზე და გამოეკლინათ საკუთარი უნარები. ასევე არჩევითი საგნების ნუსხას დაემატა ხელოვნების გამოცდა.

და რაც მთავარია, წელს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დადგინდა არა ნედლი ქულით, არამედ სკალირებული ქულით. ამ სიახლემ ერთგვარად დააბალანსა მცირედი უთანასწორობა, ტესტის იმ ვარიანტში სადაც მინიმალური კომპეტენციის გადალახვა რთული აღმოჩნდა ერთი ქულით შემცირდა ბარიერი.

გამოცდების პირველადი შედეგები უკვე ცნობილია, როგორც ცენტრის დირექტორმა ქ. მაია მიმინოშვილმა აღნიშნა, წინა წელთან შედარებით შედეგები გაუმჯობესებულია.

საბოლოო შედეგები – 20-25 აგვისტოს გამოქვეყნდება.

გამოკითხვა

გთავაზობთ, გამოკითხვის შედეგებს. გამოკითხვა ეხებოდა 2014 წლის გამოცდებს.

მონაწილეობა მიიღო 300მდე პირმა, გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს.

მარიამ გულიაშვილი

თბილისი, 161-ე საჯარო სკოლა.

1. როგორ ფიქრობთ, გაიზარდოს უნდა თუ არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არჩევით საგნებში?

- არა

2. რომელ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტს მიანიჭეთ პრივილეგია და რატომ?

- თსუ – სოციალურ-პოლიტიკური. პოლიტოლოგიით ვარ დაინტერესებული

3. თქვენი აზრით რამ განაპირობა საქართველოში აბიტურიენტთა ასეთი დიდი რაოდენობა?

- სამწუხაროდ, ტენდენცია, რომ უმაღლესი სასწავლებელი ყველას უნდა ჰქონდეს დამთავრებული ისევე ძალაშია, ჩემი აზრით სწორე დეს არის პროფესიათა დისბალანსისა და უმუშევრობის გამომწვევი მიზეზი

4. თქვენი აზრით, რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტში სტუდენტთა დიდი ნაწილი ვერ ასრულებს ბაკალავრიატის სრულ კურსს?

- მატერიალური პრობლემები ყველაზე ხშირი შემთხვევაა, თუმცა ზოგჯერ ალბათ ხვდებიან, რომ უმაღლესში სწავლა მათი სურვილი არ არის და მართალია გვიან, მაგრამ მაინც იწყებენ იმის კეთებას რაც უკეთესად დაეხმარებათ მომავალში.

5. როგორ შეაფასებთ არსებულ განათლების სისტემას?

- არ ვიცი, საერთოდ შეიძლება თუ არა ასე ხმამაღლა სიტყვა სისტემის გამოყენება.

6. როგორ შეაფასებთ ერთიან ეროვნულ გამოცდებს?

- სისტემა აქაც გაუმართავია, აბიტურიენტები კი მძიმე ბიუროკრატიული წნეხის ქვეშ ვართ. ტესტებით ვერ ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვარ, თუმცა გაოგნებული ვარ გეოგრაფიის ტესტებით, რომლებშიც აბიტურიენტს მოეთხოვებოდა საკმაოდ სერიოზული მათემატიკური მონაცემები და არა გეოგრაფიის საფუძვლიანი ცოდნა. რაც შეეხება შეფასებას, პირადად ჩემი ნაწერი სრულიად უსამართლოდ შეფასდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, იმედი მაქვს აპელაციის შედეგად ქულას მომიმატებენ, რადგან ტექნიკური ხარვეზები ჩემი ბრალი არ არის.

1. როგორ ფიქრობთ, გაიზარდოს უნდა თუ არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არჩევით საგნებში?

- კი, უნდა გაიზარდოს აუცილებლად

2. რომელ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტს მიანიჭეთ პრივილეგია და რატომ?

- თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობებს. ვფიქრობ, სამომავლოდ პერსპექტიულია ჩემთვის, სწავლობს ჭკვიანი ხალხი, კარგი გარემოა და ასევე ვარ არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბის“ წევრი და ამ მიმართულებით მუშაობს ეს ორგანიზაცია. მთავარი მიზეზი, რის გამოც ავირჩიე ეს ფაკულტეტი არის სტუდენტები, ვინც აქ სწავლობს.

3. თქვენი აზრით რამ განაპირობა საქართველოში აბიტურიენტთა ასეთი დიდი რაოდენობა?

- არასწორმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ

4. თქვენი აზრით, რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტში სტუდენტთა დიდი ნაწილი ვერ ასრულებს ბაკალავრიატის სრულ კურსს?

- არ არიან მზად უნივერსიტეტისთვის, ყველას არ უნდა მიეცეს საშუალება, რომ ისწავლოს უნივერსიტეტში.

5. როგორ შეაფასებთ არსებულ განათლების სისტემას?

- როგორც, ძალიან ცუდს

6. როგორ შეაფასებთ ერთიან ეროვნულ გამოცდებს?

- საშუალოდ, არც ცუდი არც კარგი.

ნონა კიპაროიძე

ასაკი: 50 წელი

1. როგორ ფიქრობთ, გაიზარდოს უნდა თუ არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არჩევით საგნებში?

- აუცილებლად

2. თქვენი აზრით რამ განაპირობა საქართველოში აბიტურიენტთა ასეთი დიდი რაოდენობა?

- მეტიჩრობამ

3. თქვენი აზრით, რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტში სტუდენტთა დიდი ნაწილი ვერ ასრულებს ბაკალავრიატის სრულ კურსს?

-ცოდნის დაბალი დონე

4. როგორ შეაფასებთ არსებულ განათლების სისტემას?

- ბევრ რამეს შევცვლიდი, განსაკუთრებით ყურადღებას გავამახვილებდი პროფესიულ სასწავლებლებზე.

5. როგორ შეაფასებთ ერთიან ეროვნულ გამოცდებს?

- ტესტების დონეს ავამაღლებდი.

მარიამ კვიციანი

1. როგორ ფიქრობთ, გაიზარდოს უნდა თუ არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არჩევით საგნებში?

- არა

2. რომელ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტს მიანიჭეთ პრივილეგია და რატომ?

- თავისუფალ უნივერსიტეტს, რადგან ვიცი, რომ ნამდვილად კარგი განათლების მიღება შემიძლია

3. თქვენი აზრით რამ განაპირობა საქართველოში აბიტურიენტთა ასეთი დიდი რაოდენობა?

- უაზრო ქართულმა მენტალიტეტმა და შეხედულებებმა

4. თქვენი აზრით, რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტში სტუდენტთა დიდი ნაწილი ვერ ასრულებს ბაკალავრიატის სრულ კურსს?

-სწავლისთვის დაწესებული მაღალი საფასური

5. როგორ შეაფასებთ არსებულ განათლების სისტემას?

- საშუალოზე ნაკლებად

6. როგორ შეაფასებთ ერთიან ეროვნულ გამოცდებს?

- დადებითად, მაგრამ ბევრი რამის შეცვლა შეიძლება

მაია ბენდელიანი

1. როგორ ფიქრობთ, გაიზარდოს უნდა თუ არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არჩევით საგნებში?

- დიას

2. რომელ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტს მიანიჭეთ პრივილეგია და რატომ?

- თსსუ

3. თქვენი აზრით რამ განაპირობა საქართველოში აბიტურიენტთა ასეთი დიდი რაოდენობა?

- „ყველას უნდა მისმა შვილმა ჩააბაროს, თორემ მერე რას იტყვიან მეზობლები“ – ამგვარმა შეხედულებამ

4. თქვენი აზრით, რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტში სტუდენტთა დიდი ნაწილი ვერ ასრულებს ბაკალავრიატის სრულ კურსს?

- მაღალი გადასახადი

5. როგორ შეაფასებთ არსებულ განათლების სისტემას?

- საშუალოდ

6. როგორ შეაფასებთ ერთიან ეროვნულ გამოცდებს?

- საშუალოდ

1. როგორ ფიქრობთ, გაიზარდოს უნდა თუ არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არჩევით საგნებში?

- აუცილებლად, არა მარტო არჩევით საგნებში

2. რომელ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტს მიანიჭეთ პრივილეგია და რატომ?

- თსუ, სოციალურ-პოლიტიკურს.

3. თქვენი აზრით რამ განაპირობა საქართველოში აბიტურიენტთა ასეთი დიდი რაოდენობა?

- ტენდენციამ, რომ ყველა უმაღლეს დამთავრებული იყოს.

4. თქვენი აზრით, რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტში სტუდენტთა დიდი ნაწილი ვერ ასრულებს ბაკალავრიატის სრულ კურსს?

- მაღალი გადასახადი /

5. როგორ შეაფასებთ არსებულ განათლების სისტემას?

- ძალიან ცუდად

6. როგორ შეაფასებთ ერთიან ეროვნულ გამოცდებს?

- ერთიანი ეროვნული გამოცდები, ვფიქრობ, რომ მართლაც სამართლიანი სისტემაა და საუკეთესო საშუალებაა საუკეთესო აბიტურიენტების გამოსავლენად.

1. როგორ ფიქრობთ, გაიზარდოს უნდა თუ არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არჩევით საგნებში?

- არა

2. თქვენი აზრით რამ განაპირობა საქართველოში აბიტურიენტთა ასეთი დიდი რაოდენობა?

- სულაც არ ვართ ბევრნი

3. თქვენი აზრით, რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტში სტუდენტთა დიდი ნაწილი ვერ ასრულებს ბაკალავრიატის სრულ კურსს?

- განათლების დაბალი დონე

4. როგორ შეაფასებთ არსებულ განათლების სისტემას?

- საშუალოდ

5. როგორ შეაფასებთ ერთიან ეროვნულ გამოცდებს?

- ჩემი აზრით ერთიანი ეროვნული გამოცდები უნიფიცირებული, სამართლიან მეთოდებზე დამყარებული სისტემაა

დავით წულუკიძე

1. როგორ ფიქრობთ, გაიზარდოს უნდა თუ არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არჩევით საგნებში?

- დიახ

2. რომელ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტს მიანიჭებთ პრივილეგია და რატომ?

- კავკასიის უნივერსიტეტი, ბიზნეს ადმინისტრირება, წამყვანი უნივერსიტეტია და ამას რეიტინგებიც ადასტურებს.

3. თქვენი აზრით რამ განაპირობა საქართველოში აბიტურიენტთა ასეთი დიდი რაოდენობა?

- გამოსაშვები გამოცდების დაბალმა ზღვარმა

4. თქვენი აზრით, რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტში სტუდენტთა დიდი ნაწილი ვერ ასრულებს ბაკალავრიატის სრულ კურსს?

- მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან და მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, სკოლას ამთავრებენ იმ მოტივით, რომ ჩაირიცხებიან ისეთ უნივერსიტეტში, სადაც დაბალი კონკურენციაა. ფაკულტეტს მათთვის მნიშვნელობა არ აქვს

5. როგორ შეაფასებთ არსებულ განათლების სისტემას?

- დამაკმაყოფილებელია

6. როგორ შეაფასებთ ერთიან ეროვნულ გამოცდებს?

-ერთიანი ეროვნული გამოცდები ერთადერთი ნათელი წერტილია განათლების სისტემაში, რომელიც მოსწავლის რეალურ ცოდნას აფასებს.

შეავსეთ მოცემული გამოკითხვის ფორმა შემდეგ მისამართზე:

<http://fs30.formsite.com/erovnuligamocdebi/form1/index.html>